სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 **თებერვალი, 2026 წელი**

ბრძანება №01-02/25

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2024 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, **,,ბსუ-ს** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2024 წლის საშემოდგომო მიღება) **შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფის შექმნის შესახებ"** ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 05 თებერვლის №01-02/24 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 თებერვლის №113621 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი"** (მე-5 დონე, 2024 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიზნით:

1.1. შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რუსუდან ცინცაძე - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ერგეს საბავშვო ბაღის მეთოდისტი, კურიკულუმის ექსპერტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" თანახელმძღვანელი;

ბ) ნორა ფუტკარაძე - დამსაქმებელი, ა(ა)იპ ბათუმის ბაღების გაერთიანების განყოფილების უფროსი მეთოდოლოგიის დარგში;

გ) ნანა თედორაძე - ქ. ბათუმის №3 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;

დ) ნატალია კუნჭულია - ქ. ბათუმის №13 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;

1.2. **განისაზღვროს** შეფასების ადგილი და დრო - **2026 წლის 06 თებერვალი, 12:00 საათი**, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, აუდიტორია №305.

2. <u>შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს</u> ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" <u>ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.</u>

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელია) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საქმისწარმოების სამსახური (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე